

საფინანსო-საბანკო დაწესებულებაში დაკრედიტების პროცესის ინოვაციური რისკები

ალექო ქუთათელაძე
სრული პროფესორი
იოსებ ნაცვლიშვილი
ასოცირებული პროფესორი
ირმა კვეტენაძე
დოქტორანტი

საბანკო სისტემის ფუნქციონირების სათანადო გამოცდილების არ არსებობით ბანკების მოქმედების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა კარგა ხანს გართულებული იყო. რასაც მიეყვანა საოპერაციო შეცდომების დიდ რაოდენობამდე, სტრატეგიულად გაუმართლებელ გადაწყვეტილებებსა და სისტემაში არაჯანსაღ კონკურენციამდე. შესაბამისად, შიდასაბანკო კონტროლის სამსახურების საქმიანობის საფუძვლების მეთოდოლოგიური დამუშავებების უკმარისობა იყო შიდასაბანკო კონტროლის არარსებობის მიზეზი.

რისკ-მენეჯმენტი მივიდა იმ ფაქტის აღქმამდე, რომ საფინანსო და საბანკო საქმიანობის ჩარჩოების შესაბამისობის ანალიზზე დაყრდნობით საკონტროლო ფუნქცია ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა. საკრედიტო დაწესებულებათა უმეტესობაში კორპორაციული მართვის სისტემას ემატება რისკების რეგულირების სხვადასხვა ინსტრუმენტები.

მოუხედავად ყველაფრისა საწყისი, მრავალკრიტერიული საბანკო მოდელი ტრანსფორმირდება ლიკვიდობასა და რისკის შეზღუდული დონის პირობებში შემოსავლიანობის მაქსიმალიზებულ მოდელად. ამასთან ბანკის მენეჯმენტი მიზნად ისახავს, ლიკვიდობის და რისკის ინტუიციური შეზღუდვების პირობებში, სუფთა მოგების გაზრდას, ხოლო შიდაკონტროლი ფასდება, როგორც არსებული შეზღუდვების შესანარჩუნებელი მექანიზმი. ასეთი პრაქტიკა არანაირად არ აისახება ფინანსური პროცესის ცალკეულ ოპერაციებზე და როგორც წესი მიყვავართ კაპიტალის არარაციონალურ განთავსებამდე, რაც ამცირებს არაკონტროლირებად რისკებს და მათი ეფექტიანი მართვის ოპერატიულობას.

მსოფლიო პრაქტიკაში მართვის ამოცანების ამგვარი სპექტრი ეფექტიანად კონტროლირდება შიდასაბანკო კონტროლის სისტემებით. ბაზელის კომიტეტის მიერ აღინიშნა, რომ რისკების მართვა უნდა იყოს ბანკის საბაზო მენეჯ-

მენტის ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი, რომელთაც უნდა უზრუნველყონ სისტემის ეფექტიანი გამოყენება და მართვის პროცედურების შესრულება.

პრაქტიკულად შიდა საბანკო კონტროლი გადაწყვეტილების მომზადების პერიოდში უნდა ეფუძნებოდეს ეფექტიან მართვას, რადგან იგი საშუალებას იძლევა გამოავლინოს და კორექცია გაუკეთოს ბანკის მიერ ჩატარებულ უმეტეს ოპერაციას, რომელიც არაეკონომიურ, შეუძლებელ სტრატეგიულ პოზიციას წარმოადგენს.

ბაზელის კომიტეტის ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები ადასტურებენ, რომ საბანკო რისკების მართვაში მრავალრიცხოვანი წარუმატებლობები, ხშირად გადაწყვეტილებების მიღების არაეფექტიანი პროცესისა და შიდასაბანკო სუსტი კონტროლის შედეგია.

ამასთან დაკავშირებით საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კონიტეტის მიერ დეტალურად იქნა განსაზღვრული რისკ-მენეჯმენტის როლი საბანკო რისკის განსაზღვრასა და შეფასებაში, გაზომვასა და მართვაში. ებისმიერი კორპორაცია, რომელიც იყენებს ახალ საფინანსო ინსტრუმენტს, განიცდის მართვის ყველა დონეზე ცოდნის შექმნას, აგრეთვე ამოცანის შესაბამისად შიდა აღრიცხვის სისტემის ადაპტაციის ადეკვატურ კონტროლს. მხვა სიტყვებით, საბანკო რისკ-მენეჯმენტი უნდა გახდეს არა მარტო სიახლეების ათვისების უნარიანი, არამედ იყოს საერთაშორისო სტანდარტების კონვერგენციის პროცესის და რისკის შეფასების მეთოდების აქტიური მონაწილე. ანკის

უმაღლესი ხელმძღვანელობის პრეროგატივაა მართვისა და კონტროლის უზრუნველყოფის სფეროში ის საბაზო კომპონენტი, რომელიც ქმნის ეფექტიან მონიტორინგს და რისკების მართვის ადეკვატურ სისტემას.

მნიშვნელოვან როლს იძენს საქმიანობის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება შიდასაბანკო რისკ-კონტროლში, ასევე ინოვაციურ პრაქტიკაში შიდასაბანკო რისკ-კონტროლის სამსახურების მიერ გამოყენებული პრინციპები და რისკის კონტროლის მექანიზმი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით განხილული და შემუშავებულია ინოვაციური საქმიანობის კონტროლის აუდიტის სქემა, რომელსაც უნდა იხილავდეს შიდასაბანკო რისკ-კონტროლის სამსახური. ინოვაციური ქვედანაყოფის მიერ წარმოდგენილი ანკეტა და კითხვარი უნდა ითვალისწინებდეს დაკრედიტების რისკის შეფასების აბსოლუტურ მაჩვენებლებს.

რისკის მაჩვენებლის ჯგუფი უნდა სწავლობდეს იმ აბსოლუტურ ფინანსურ მაჩვენებლებს, რომლებიც აისახებიან დაკრედიტების პროცესში, ფინანსური რესურსების განთავსებისას ინოვაციურ პროექტებში. რისკის შეფასების პროცესში ინფორმაციის სახით გამოიყენება წარმოების მოგება-ზარალის უწყისი და ბალანსი, რომელიც აფიქსირებს საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობას.

დაკრედიტებისათვის საქმიანი წინადადების გადაწყვეტილებისას ორგანიზაციის რისკების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სახით:

- აქტივების სტრუქტურის რისკები მათი ლიკვიდობის ხარისხის შესაბამისად;
- გადახდისუნარიანობის, ფინანსური მდგომარეობის და დამოუკიდებლობის დაკარგვის რისკი;
- ორგანიზაციის საქმიანი აქტივობის და რენტაბელობის დაქვეითების შედეგების რისკი;

რისკების ამ ჯგუფის მაჩვენებლების გამოყენების ხარისხით შეიძლება მოვახდინოთ აქ-

ტივების სტრუქტურის შეფასება მათი ლიკვიდობის ხარისხის შესაბამისად. განხილულ სიტუაციაში ინოვაციურ რისკ-ფაქტორს შეიძლება წარმოადგენდეს სახსრების არასაკმარისობა ცალკეული აქტივებიდან ბალანსის პუნქტების შესაბამისად, რასაც შეიძლება მოყვეს დროის დაკარგვა და აქტივების გადაყვანა ფულად სახსრებში. ეს გამოიწვევს ორგანიზაციის შესაძლებლობების შეზღუდვას მისი კრედიტის დაფარვის პროცესში. აქტივების ფულად სახსრებში გადაყვანა მოითხოვს გარკვეულ დროს და ამიტომ შესაძლებელია რისკ-ფაქტორები დავყოთ ოთხ ჯგუფად:

1. მინიმალური რისკი (მეტად ლიკვიდური აქტივები, თანხა საღაროში, ანგარიშზე);
2. მცირე რისკი (სწრაფად რეალიზებადი აქტივები – დებიტორული დავალიანება);
3. საშუალო რისკი (ნაკლებად რეალიზებადი აქტივები – შეძენილი ფასეულობები. სხვა საბრუნავი აქტივები);
4. მაღალი რისკი (რთულად რეალიზებადი აქტივები – არამატერიალური აქტივები, სხვა არასაბრუნავი აქტივები).

დაკრედიტების პროცესთან მიდგომის შინაარსი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ დაკრედიტების პროცესში რისკის ფაქტორის შეფასება შეიძლება მოვახდინოთ რისკის კოეფიციენტით $R = \frac{1}{R_1}$, სადა R_1 - დაკრედიტების პროცესში შესაძლო დანაკარგის მაქსიმალური სიდიდეა, ხოლო R - გაცემული კრედიტის რაოდენობა.

მოყვანილი დამოკიდებულებიდან ჩანს, რომ რისკის კოეფიციენტი თავის მხრივ მოიცავს განზოგადებულ მახასიათებლებს, რომელთა მიხედვით რისკის შედეგის დასადგენად ცალსახად შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რის შემდეგაც ხდება რისკის შეფასების ცხრილის შედგენა. რისკის შეფასების ცხრილს საფუძვლად უდევს Kr-ს მაჩვენებლის სიდიდე, რომელსაც გააჩნია ოთხი გრადაცია – მინიმალურიდან დაუშვებლამდე (ცხრილი 1).

ანკეტისა და კითხვარის მომზადებაში უნდა იყოს გათვალისწინებული შესაბამისი მოთხოვნები, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს

ცხრილი 1.

რისკების შეფასება	Kr მნიშვნელობა
მინიმალური რისკი	0 – 0,1
დასაშვები რისკი	0,1 – 0,3
მაღალი რისკი	0,3 – 0,6
დაუშვებელი რისკი	0,6 >

ა. ქუთათელაძე, ი. ნასვლიშვილი, ი. კვეტენაძე

ინოვაციური საქმიანობის შესახებ ყველა პუნქტს. ასეთი ანგეცის ერთი ვარიანტი წარმოდგენილია ცხრილი 2.-ში.

ცხრილი 2. ინოვაციური საქმიანობის კონტროლი

	მართვის ფაქტორი	შეფასება (1-4)	ცვლილებები ს პრიორიტეტი: მინიმალ(1), მცირე(2), საშუალო(3),
	1	2	3
	მთლიან საკრედიტო პორტფელის რეტროსპექტიული ანალიზი		
1	დაკრედიტების სფეროში ყოველწლიურ შედეგებს პროცედურა		
2	დაკრედიტების შედეგების ოფიციალური წლიური ანალიზი და დასკვნების წარდგენა		
3	კრედიტის ჩამოწერის ანალიზი		
4	ჩამოწერის სტრუქტურა ბიზნესის სეგმენტის ჭრილში, კრედიტის ტიპი და სხვა		
5	გადაწყვეტილების დროულად მიღება საკრედიტო შეთანხმებიდან გამოსვლაზე		
6	დანაკარგების ანალიზი		
7	დასკვნა ინოვაციურ პორტფელზე პროგნოზირების მუშა მექანიზმის არსებობაზე		
	ინოვაციური კონცეფცია		
1	ხელმძღვანელობის მიერ დამუშავებული ინოვაციური კონცეფცია და მისი სტრატეგიული გეგმა		
2	ინოვაციური კონცეფციის შესაბამისობა საკრედიტო ორგანიზაციის მიერ მიღებულ საკრედიტო კულტურასა და ფასეულობის სისტემასთან		
3	აღმასრულებელი ხელმძღვანელობის მონაწილეობა ინოვაციური კონცეფციის შემუშავებასა და მიღებაში		
4	ინოვაციური კონცეფციის აღწერა და დაყვანა შემსრულებლის ყველა დონეზე		
5	ინოვაციური კონცეფციის რეალიზაციის ხარისხის შეფასების მექანიზმი		
6	ინოვაციური ტიპის განსაზღვრა (სიდიდის, დარგობრივი მისადაგების, საკუთრების ფორმის, ფინანსირებაზე მოთხოვნის და ინოვაციური მსესხებლის სხვა პარამეტრებიდან გამომდინარე)		
7	ინოვაციური ტექნოლოგიური ბაზრის შესწავლის პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი		
8	პოტენციური კლიენტების წინასწარი შერჩევის ეფექტიანობა		
9	ინოვაციური პორტფელის მოცულობის ზღვარის დამუშავება		
10	გაუარესებადი ხარისხის ინოვაციური კრედიტების რეგულარული გამოვლენა, მანამ სამან ისინი მოხვდებიან პრობლემურ სიებში		
11	თანამშრომლების ინოვაციურ პორტფელთან მუშაობის მომზადება		
12	ინოვაციური კონცეფციის რეგულარული ანალიზის პროცედურა		
13	ბანკი ორიენტაცია კლიენტის ხანგრძლივადიან მოზიდვაზე		

ბანკები და ფინანსები

ინოვაციური პორტფელის დაგეგმვა და მართვა		
1	ინოვაციური პორტფელის მოცულობის რეგულარული შედარება სხვა პორტფელების მოცულობასთან	
2	ინოვაციური კრედიტების ჯამური რენტაბელობის მოდელი	
3	ინოვაციური პორტფელის დივერსიფიკაციის ხარისხის შეფასება რაოდენობრივად	
4	საპროცენტო განაკვეთის ზრდის გათვალისწინება რისკის კატეგორიის ცვლასთან დაკავშირებით	
5	ინოვაციურ კლიენტებთან ურთიერთობის განვითარების გეგმა	
6	ინოვაციურ კონცეფციის მხარდაჭერა ბანკის თანამშრომლების მხრიდან	
7	ინოვაციური პორტფელის ეფექტიანობის შეფასებისათვის ჩამოყალიბებული სტანდარტები	
ინოვაციური კრედიტების ადმინისტრირება		
1	ობიექტური კრიტერიუმები განაცხადის განხილვის და ინოვაციური პროექტის რისკ-რეიტინგის განსაზღვრა	
2	პერსონალური პასუხისმგებლობის სისტემა ინოვაციური დაკრედიტების პროცესში გადაწყვეტილებების გამოტანისათვის	
3	რისკ-რეიტინგის განსაზღვრა	
4	რისკ-რეიტინგის რეგულარული გადახედვა ობიექტური კრიტერიუმით	
5	მონიტორინგი ინოვაციური კრედიტის მოწონების შემდეგ	
6	ინოვაციური კრედიტის მიმდინარე ანალიზის ეფექტიანობა	
7	მიმდინარე კრედიტების ანალიზი და ინოვაციური პორტფელის საბაზრო ღირებულების ობიექტური შეფასება	
8	კრედიტების პრობლემურ სიაში მოხვედრის კრიტერიუმები	
	ინოვაციური პორტფელის მართვის საერთო შეფასება	

ასეთი ანგარიში რეგულარულად უნდა განიხილებოდეს საკრედიტო კომიტეტის შეხვედრებზე, ასევე ხელმძღვანელებისა და ბანკის საკრედიტო განყოფილების ინოვაციური ქვედანაყოფის თანამშრომელთა საქმიან შეხვედრაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Соколинская Н.Э. Внутренний контроль и комплексное управление рисками в банковском менеджменте: [Http://www.ifbsm.ru](http://www.ifbsm.ru)
2. გ.ცაავა; თ.აბრამია; დ.ცაავა – რისკოლოგია. ფინანსური და საბანკო-საკრედიტო რისკის მენეჯმენტი.

ИННОВАЦИОННЫЕ РИСКИ ПРОЦЕССОВ КРЕДИТОВАНИЯ В БАНКОВСКО-ФИНАНСОВЫХ УЧРЕЖДЕНИЯХ

АЛЕКО КУТАТЕЛАДЗЕ - проф. ГТУ
ИОСЕБ НАЦВЛИШВИЛИ - ассоц. проф. ГТУ
ИРМА КВЕТЕНАДЗЕ - докторант ГТУ

Ввиду отсутствия соответствующего опыта функционирования банковских систем, методологическое обеспечение деятельности банков в течение долгого времени не было сложным, что сопровождалось большим количеством операционных ошибок, принятием неоправданных стратегических решений и нездоровой конкуренцией в системах. Соответственно, недостаточность разработок методологических основ деятельности служб внутрибанковского контроля стало причиной отсутствия самого внутрибанковского контроля.

Риск – менеджмент подошел к осознанию того факта, что наличие контрольной функции, основанной на анализе соответствия рамок банковской и финансовой деятельности, в некоторых случаях является обязательным условием. В большинстве кредитных учреждений к корпоративной системе управления прикреплены различные инструменты регулирования рисков. Несмотря на все это, начальная многокритериумная банковская модель трансформируется в условиях уровней ограничения риска и ликвидности в модель максимализации дохода.

В статье рассмотрена и разработана схема аудита контроля инновационной деятельности, которую следует рассмотреть внутрибанковской службе риск-контроля. Анкета и опросник, представленные по подразделениям должны предусматривать показатель абсолютной оценки риска кредитования.

INNOVATION RISKS OF LENDING PROCESSES IN THE BANKING AND FINANCIAL INSTITUTIONS

ALEKO QUTATELADZE - full prof. of GTU,
IOSEB NATSVLISHVILI - assoc. prof. of GTU,
IRMA KVETENADZE - PhD of GTU

Due to the lack of relevant experience in functioning of banking systems, methodological support of banks for a long time was not complex, accompanied by lots of operational errors, making unreasonable strategic decisions and unhealthy competition in the systems. Appropriately, the lack of methodological approaches of the basic services of internal control was the cause of the lack of internal controls itself.

Risk management came to the realization that having a control function, based on an analysis of a framework of banking and financial activities, in some cases, is mandatory. In the most of credit institution various risk management tools are attached to a corporate management system. Despite all this, the initial multi criteria banking model in the levels of risk and liquidity constraints is transformed to the model of maximizing revenue.

The article describes a scheme for auditing and monitoring of innovation that should be considered by intra-service banking risk control. Questionnaires submitted by departments should include the indicator of absolute assessment of the risk of lending.